

საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი 040668**პროფესიული სტანდარტი****I. სფეროს აღწერა**

სამშენებლო დარგთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობას, რომლისგანვითარებაც უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ გარემოზე. თანამედროვე მსოფლიოში დღეისათვის ძალზე აქტუალურია საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის საკითხების სრულყოფა და განვითარება, შესაბამისად, ამ დარგში კვალიფიციურისპეციალისტების მომზადება.

საქართველოში დამკვიდრებულ ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა პირობებში სატრანსპორტო დანიშნულების ნაგებობების, მათ შორის საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და განვითარებად სექტორად ყალიბდება.

წლიდან წლამდე სტაბილურად მზარდი მოთხოვნა ადნიშნულსფეროში დასაქმებულ კვალიფიციურკადრებზე.

მშენებლობის დარგში საავტომობილო გზებისა და აეროდრომების განხრით განათლების მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს

საავტომობილო გზებისა და აეროდრომების კვლევა-ძიებასთან, დაპროექტებასთან, აგებასთან, საინჟინრო აღჭურვასთან, ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრას კომპეტენციის ფარგლებში, შეეძლება პროფესიული გარემოს მართვა და მოტივირებული იქნება თავის საქმიანობაში პროფესიულწინსვლაზე.

II. დასაქმების სფერო

საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო საწარმო/დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება საავტომობილო გზებისა და აეროდრომების საინჟინრო სამუშაოებთან. ადნიშნულ სტრუქტურებში მათი სამსახურებრივი მდგომარეობა და მოქმედების არეალი შეიძლება განისაზღვროს დამწყები სპეციალისტიდან აღმავალი ხაზით სხვადასხვა დონის ტექნიკოსამდე, შესაბამისად კვლევა-ძიების, დაპროექტების, აგების, ექსპლუატაციის, რეაბილიტაციის სამუშაოთა წარმართვის შესაძლებლობით.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება
- მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა
- მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის პროფესიული განათლება არის ოთხსაფეხურიანი (III, IV და V) და თითოეული საფეხურისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 45 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის კვალიფიკაციათა აღმწერი

საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სპეციალობისთვის დამახასიათებელი ძირითადი საკითხების პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს დასმული გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ქმედებებს.</p>	<p>აქვს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.</p> <p>აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს. იცნობს საგზაო სამშენებლო მასალების ძირითად ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს და მათი გამოყენების სფეროებს.</p> <p>ფლობს მასალათა გამძლეობისა და სამშენებლო მექანიკის საფუძვლებს, როგორცაა დატვირთვების კლასიფიკაცია, დეფორმაციის სახეები, საყრდენების კლასიფიკაცია და იცის მათი გამოყენების მნიშვნელობა მშენებლობის სხვადასხვა სფეროებში.</p> <p>იცნობს ხელოვნური ნაგებობების სახეებს: ხიდები, გვირაბები, საყრდენი კედლები, წყალგამტარი მილები, ესტაკადები, გზაგამტარები და ა.შ. მათ დანიშნულებასა და გამოყენების არეალს.</p> <p>გაცნობიერებული აქვს გრუნტულ - გეოლოგიური პირობების მნიშვნელობა საგზაო სამუშაოების წარმოებისას.</p> <p>იცნობს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების კვლევა-ძიების, დაპროექტების ძირითადი პრინციპებსა და ნორმატიულ მოთხოვნებს, ერკვევა მარტივ ტიპიურ კონსტრუქციებში და მათი გამოყენების სფეროებში.</p> <p>იცის საგზაო მშენებლობის ძირითადი ტექნოლოგიური და ორგანიზაციული პროცესები: მოსამზადებელი სამუშაოები, მიწის სამუშაოები და საინჟინრო ნაგებობების მნიშვნელობა, სამოსელის მოწყობა(საფუძველი და ფენილები) და გზის კეთილმოწყობის სამუშაოები.</p> <p>აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სპეციალობის სპეციფიკისა თვის საჭირო უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებე ბის შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები,</p>	<p>შეუძლია საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციალიზებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. შესასრულებელი დავალებების სირთულის შესაბამისად სხვადასხვა მიდგომის გამოყენება, სათანადო მეთოდების, საგზაო-სამშენებლო მანქანების, მწყობილობებისა და ინსტრუმენტების შერჩევა.</p> <p>შეუძლია კონკრეტულ საგზაო პირობებში გამოსაყენებელი გრუნტების შერჩევა და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება სათანადო მეთოდებით.</p>

		<p>შეუძლია კვლევა ძიების ჩატარებისას საჭირო მარტივი გაზომვების ჩატარება და გააზრებული მონაწილეობის მიღება გეოდეზიურ-აგეგმვით სამუშაოებში, საავტომობილო გზის ტრასის გეგმის, გრძივი და განივი პროფილების დამუშავება და გამოხაზვა, აგრეთვე სამოსელის კონსტრუქციების შერჩევა და გამოხაზვა, საინჟინრო ხელოვნური ნაგებობების მონიშვნა და დატანა გრძივ პროფილზე.</p> <p>შეუძლია უზრუნველყოს პირადი და ჯგუფური მუშაობის უსაფრთხოება სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესებსა და ბუნებრივ პირობებში.</p>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების განხილვაში მონაწილეობის მიღება, დასკვნების გამოტანა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და შრომითი კარიერის განვითარებისთვის საჭირო საკითხების მოძიება-დამუშავება, ასევე მარტივი კომუნიკაციის დამყარება სხვადასხვა დონეზე, როგორც მშობლიურ, ისე მის მიერ შესწავლილ უცხო ენაზე.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>შეუძლია მიღებული ცოდნის შესაბამისად განსაზღვროს თავისი შესაძლებლობები და დამოუკიდებლად დაგეგმოს თავისი მომავალი განვითარებისთვის საჭირო ნაბიჯები დასახული ამოცანის ფარგლებში.</p>
ღირებულებები	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები შესაბამისად.</p>	<p>მოქმედებს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად, ითვალისწინებს გარემოს დაცვის დადგენილ სტანდარტებს, იცავს შრომის უსაფრთხოების წესებსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს.</p>

საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>აქვს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს. იცნობს ადგილობრივი და იმპორტირებული საგზაო სამშენებლო მასალების ძირითად ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს, მათი გამოყენების სფეროებს და ეკონომიკურ მიზანშეწონილობას. გაცნობიერებული აქვს გრუნტულ-გეოლოგიური პირობების მნიშვნელობა საგზაო სამუშაოების წარმოებისას. ფლობს მასალათა გამძლეობისა და სამშენებლო მექანიკის საფუძვლებს და გაცნობიერებული აქვს მათი გამოყენების მნიშვნელობა საგზაო მშენებლობის სხვადასხვა სფეროში. იცნობს ხელოვნური ნაგებობების სახეებს, დანიშნულებას დაგამოყენების სფეროებს. იცნობს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტების ძირითად პრინციპებს და ნორმატიულ მოთხოვნებს. ერკვევა მარტივ ტიპიურ კონსტრუქციებში და იცის მათი გამოყენება. იცნობს საგზაო მშენებლობის ძირითად ტექნოლოგიურ მეთოდებსა და მათ განსახორციელებლად საჭირო მანქანა-მექანიზმებს. იცის საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მოვლა-შენახვის ძირითადი მეთოდები და მათ განსახორციელებლად საჭირო მანქანა-მექანიზმები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით. შეუძლია საგზაო მშენებლობაში განხორციელებული სამუშაოების ხარისხის განსაზღვრა, შეფასება, კრიტიკული ანალიზი. მენეჯმენტის ხარისხის ზოგადი შეფასება მეწარმეობის თვალსაზრისით, ფლობს რა ზოგადი მენეჯმენტის საფუძვლებს.</p>

დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი. მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება, ასევე ზოგადი დასკვნების გამოტანა. რაც ეფუძნება გრაფიკული მასალების აღქმას, მათ სივრცულ წარმოდგენას, გამოყენებული კონსტრუქციების სიმტკიცისა და ამტანუნარიანობის ზოგად შეფასებას, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მარტივი საოფისე პროგრამების გამოყენებით.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტები სა და არასპეციალისტებისათვის, მშობლიურ ენაზე; ინფორმაციის აღქმა უცხოურ ენაზე. შეუძლია შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა	აცნობიერებს საკუთარი კვალიფიკაციის მუდმივი სრულყოფის აუცილებლობას, იყენებს სათანადო შესაძლებლობებს.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად. დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და ამ ღირებულებებს სხვებს უზიარებს.	აფასებს საკუთარ და სხვათა დამოკიდებულებას საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნიკოსის პროფესიული საქმიანობისათვის პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას. მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებს. ახასიათებს პროფესიული ეთიკისა და მორალის პრონციპებისადმი ერთგულებას.

საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>აქვს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს. იცნობს ადგილობრივი და იმპორტირებული საგზაო სამშენებლო მასალების ძირითად ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს, მათი გამოყენების სფეროებს და ეკონომიკურ მიზანშეწონილობას. გაცნობიერებული აქვს გრუნტულ-გეოლოგიური პირობების მნიშვნელობა საგზაო სამუშაოების წარმოებისას. ფლობს მასალათა გამძლეობისა და სამშენებლო მექანიკის საფუძვლებს და გაცნობიერებული აქვს მათი გამოყენების მნიშვნელობა საგზაო მშენებლობის სხვადასხვა სფეროში. იცნობს ხელოვნური ნაგებობების სახეებს, დანიშნულებას და გამოყენების სფეროებს. იცნობს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტების ძირითად პრინციპებს და ნორმატიულ მოთხოვნებს. ერკვევა მარტივ ტიპიურ კონსტრუქციებში და იცნობს მათი გამოყენების სფეროს. იცნობს საგზაო მშენებლობის ძირითად ტექნოლოგიურ მეთოდებსა და მათ განსახორციელებლად საჭირო მანქანა-მექანიზმებს. იცნობს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მოვლა – შენახვის ძირითად მეთოდებს და მათ განსახორციელებლად საჭირო მანქანა-მექანიზმებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარებისფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტების, მშენებლობისა და მოვლა-შენახვის სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად. შეუძლია კონკრეტულ საგზაო პირობებში გამოსაყენებელი გრუნტების შერჩევა და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების სრულფასოვანი შეფასება. შეუძლია კვლევა-ძიების ჩატარებისას საჭირო რთული გაზომვების</p>

		<p>ანალიზი, კორექტირება. შედეგების პრაქტიკული გამოყენების უზრუნველყოფა .</p> <p>შეუძლია უზრუნველყოს უსაფრთხოება სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესებსა და ბუნებრივ პირობებში.</p> <p>შეუძლია საგზაო მშენებლობაში განსახორციელებელი სამუშაოების ხარისხის შეფასება და მართვა..</p>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება, ასევე ზოგადი დასკვნების გამოტანა, რაც ეფუძნება გამოყენებული კონსტრუქციების სიმტკიცისა და ამტანუნარიანობის შეფასებას, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მარტივი საოფისე პროგრამების გამოყენებით.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი დაროდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად და მკაფიოდ გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის მშობლიურ და უცხოურ ენაზე. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>ცნობიერებს საკუთარი კვალიფიკაციის მუდმივი სრულყოფის აუცილებლობას. აქტიურად ეძებს და იყენებს სათანადო შესაძლებლობებს. შეუძლია შემდგომი განათლების მიღების დამოუკიდებლად განსაზღვრა. გააჩნია მზაობა და საჭირო საბაზისო მომზადება, რათა საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად დაეუფლოს უახლეს ცოდნას პროფესიის მიმართულებით.</p>
ღირებულებები	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული</p>	<p>აფასებს საკუთარ და სხვათა დამოკიდებულებას საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნიკოსის პროფესიული</p>

	<p>საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.</p>	<p>საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და ამ ღირებულებებს სხვებსაც უზიარებს. მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს, სხვებსაც მოუწოდებს მათი დაცვისკენ.</p>
--	---	---